07.00.00 ისტორიული მეცნიერებანი HISTORICAL SCIENCES

დავით მალაზონია

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია და ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის საკითხები

Resume *David Malazonia*

GEORGIAN HISTORIOGRAPHY OF THE SEVOND HALF OF THE 19TH CENTURY AND THE QUESTION OF ETHNICGENESIS OF THE GEORGIAN PEOPLE

In this work it is discussed the considerations of georgian and foreign scientists of the 2nd half of the 19th century about Georgian tribes' ethnicgenesis and the places where they lived in the ancient period. This question had significant political meaning against Russian tsarism, which tried to oppress all not Russian nations' present and history. On the basis of manysided scientifical facts it becomes more realistic the idea about Georgians' aborigines.

Резюме *Давид Малазониа*

ГРУЗИНСКАЯ ИСТОРИОГРАФИЯ ВТОРОЙ ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА И ВОПРОСЫ ЭТНОГЕНЕЗА ГРУЗИНСКОГО НАРОДА

В работе рассмотрены соображения грузинских и иностранных исследователей второй половины XIX века относительно этногенеза и прародины грузинских племен. Этот вопрос имел и значительную политическую нагрузку против российского царизма, всячески унижавшего и современность, и историю нерусских народов. На основе многосторонних научных данных более достоверным представляется положение об автохтонности Грузии.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზისით, მისი წარმომავლობისა და განსახლების თავდაპირველი არეალის დადგენით აქტიურად ინტერესდება XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია. ამ პრობლემას განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებდა თვითმპყრობელობის მხრიდან ჩვენი ისტორიის გაბიაბრუების მუდმივი ცდები. აქტუალურად გამოიკვეთა „გენეალოგიური საკითხის“ კვლევა, რაც, ფართო გაგებით, ცალკეული ხალხების წინაპართა დადგენას, მათი გენეზისის კვლევას ნიშნავს.

თავიდან, როგორც წესი, ამ მიზნით ბიბლიური მონაცემები გამოიყენებოდა, ხდებოდა ხალხების (ტომების) პერსონიფიცირება, მათი დაკავშირება ბიბლიურ პერსონაჟებთან.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პირველსაცხოვრისის ანუ იმ ტერიტორიების გარკვევას, სადაც ხალხის ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო. ძირითად წყაროს ამ თვალსაზრისითაც ბიბლია წარმოადგენდა, კონკრეტულად კი – „ქართლის ცხოვრების“ მისგან მომდინარე გენეალოგიური სქემა.

ამგვარი მსჯელობის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს დავით ბატონიშვილის დასკვნა: „ყველაზე ადრე საქართველოში დასახლდა მისი დამაარსებელი ქართლოსი. . . ქართლოსის ჩამომავლობა მომდინარეობს ნოეს ძეთა, სემისა და იაფეტის გვარიდან“. მოველისეული კონცეფციისაგან პრობლემის რამდენადმე განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვაძლევს ვ.ბაგრატიონი. მას ქართლოსი ქართველ ტომთა მმართველად, „ქართველთა სჯულმდებლად“ ჰყავს წარმოდგენილი და არა ბიბლიურ პირად ან ხალხის მამამთავრად, რომლის პიროვნებაც მომდევნო ხანის საისტორიო ტრადიციას ეთნოსის საწყისად მიუჩნევია.

ქართველთა ეთნოგენეზზე საუბრისას თ.ბაგრატიონთან პირველად ვხვდებით ანტიკური ხანის ისტორიკოსთა ცნობების მოშველიებას, მაგრამ, საერთო ჯამში, უმთავრესი წყაროს ფუნქციას მისთვისაც „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ასრულებს, ისიც ხსენებული სქემის მიხედვით განიხილავდა საკითხს. ანალოგიურია მ.ბროსეს პოზიციაც [6].

პლ. იოსელიანი კრიტიკულადაა განწყობილი „ქართლის ცხოვრებისეული“ კონცეფციის მიმართ. მიმაჩნია, რომ მასში მოცემული თვალსაზრისი ისტორიის უძველესი მონაკვეთების ზღაპრულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს: „არავითარი ეჭვი არაა, რომ ამგვარი თვალსაზრისი მოგვიანო ხანის შემოქმედების ნაყოფია, კერძოდ, იმ დროისა, როდესაც მათ ენებზე ითარგმნებოდა საღვთო წერილი“.

საინტერესოა ეთნოგენეტიკის პრობლემებისადმი ს.ბარათაშვილის მიდგომის მეთოდი. ისტორიკოსი თვლის, რომ საკითხის შესწავლისას, გარდა ისტორიული წყაროებისა, ენათმეცნიერებისა და „ფიზიოლოგიის“ (ფიზიკური თავისებურებების) მონაცემებზე უნდა იქნას გათვალისწინებული. „ახლანდელ დროში – მიუთითებდა იგი – ენათცოდნა და ფიზიოლოგია უმტკიცეს საშუალებად მიაჩნიათ რომელიმე ხალხის დასაწყისის გამოკვლევისათვის, მაგრამ გამოკვლევის ამგვარ სახსარს ჯერ არა აქვს ფეხი მოკიდებული (ჩვენში – დ.მ.)“. ს.ბარათაშვილის ამ თვალსაზრისის შესახებ გ.ნადირაძე წერს: „მართალია, ქართველთა ეთნოგენეზისის ბარათაშვილისეული კვლევა თანამედროვე მეცნიერებისათვის მისაღებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ იგი საკითხს იკვლევდა მეცნიერული მეთოდების გამოყენებით, ეს კი ხელს უწყობდა ჭეშმარიტი მეცნიერებისაკენ მიმავალი გზის გაკვლევისას“ [8]. კვლევის ამგვარი მეთოდიკა მართლაც ყურადღების ღირსია.

შესაბამის მონაცემთა სიმწირეს, აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ მონახაზის მიღების დამკვიდრებულ პრაქტიკას ისტორიკოსი, საბოლოოდ, ქართველთა წარმომავლობის „დაბადებისეული“ კონცეფციის ძირითადი ასპექტების გაზიარებამდე მიჰყავს, ამ მოტივაციით თვლის იგი ქართველ ტომებს სამხრეთიდან მოსულად, ხოლო ვივიენ მარტენის დასკვნების ზემოქმედებით ქართველი ხალხი ეთნიკურად ინდოკელტური წარმომავლობისად მიაჩნია [2].

ბერძნულ-რომაული წყაროების ანალიზით დ.ჩუბინაშვილი თავის ნაშრომში „ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა" (ქართულად თარგმნა და 1877 წელს „ივერიის" ფურცლებზე დასტამბა ი.ჭავჭავაძემ) მიდის დასკვნამდე, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უძველესი დროიდანვე უნდა ყოფილიყო ქართველთა მონათესავე ტომებით დასახლებული. ამ თვალსაზრისს იგი ასაბუთებს ქსენოფონტეს, სტრაბონის, პლინიუსისა და სკილაქსის ცნობებით. ანტიკური ხანის ისტორიოგრაფიის მონაცემთა ბაზაზე ცდილობს გაარკვიოს სხვადასხვა ხალხის წარმომავლობის, განსახლებისა და ნათესაობის საკითხები.

დ.ჩუბინაშვილის ნაშრომი, შემცველი ისეთი კომპლექსისა, როგორიც არის ნარატიულ წყაროთა სინთეზური ანალიზი, თავისთავად წარმოადგენდა უაღრესად მნიშვნელოვან სამეცნიერო გამოკვლევას. ავტორის მიერ მოცემული წინა აზიის ეთნიკურ-გეოგრაფიული დახასიათება და არაერთი თვალსაზრისი (მაგალითად, ქართველურ ტომთა ნათესაობის შესახებ) დღესაც სავსებით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ისტორიოგრაფია უკვე წმინდა მეცნიერულ მონაცემთა ათვისებით, ბუნებრივია – ქართული საისტორიო მწერლობის ცნობების სათანადო ანალიზის გზით ცდილობდა ეთნოგენეზის საკითხების კვლევას. თანამედროვე მეცნიერული ცოდნის გათვალისწინებით უდგებოდნენ ისინი კაცობრიობის განსახლების პირველადი კერების დადგენის პრობლემას. ასეთად დ.ბაქრაძე ზემო აზიას თვლიდა [4]. იგი მიუთითებდა, რომ იქვე უნდა მომხდარიყო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, მარტივი ხელოსნობის თვით რკინის მეტალურგიის საწყისი ფორმების ჩასახვა. ხოლო მიგრაციის გამომწვევ მიზეზებად იგი აღნიშნული ტერიტორიის ბუნებრივ-კლიმატური პირობების ხშირ ცვალებადობასა და მოსახლეობის ზრდას ასახელებს.

უშუალოდ განსახლების პროცესის დროით-სივრცითი მიმოხილვისას დ.ბაქრაძე შემდეგ სურათს გვთავაზობს: „სულ ძველად გავიდნენ ზემო აზიიდან ხამიტნი და დაბინავდნენ ზოგი სპარსეთის ყურის გარშემო, ზოგნი ქალდეაში, ზოგნიც ნილოსის მდინარეზე. ხამიტებმა თითქმის ერთ დროს დააფუძნეს (4000 წლის წინ ქრისტეს შობამდე) სამეფოები ბაბილონში და ეგვიპტეში. თითქმის იმავე დროს დაიძრნენ თურანელნი. ერთმა იმათმა ნაწილმა გაიარა კასპიის ზღვის ჩრდილო მხარე და მიჰმართა მცირე აზიას და ევროპას, დანაშთენმა მიჰმართა სამხრეთისაკენ. . . და დასახლდა ინდოეთის საზღვრად ატროპატენაში (ადერბაიჯანში), არმენიაში. . . სემიტნი მიჰყვნენ თავიანთის მონათესავეთა ნავალს და დაუკავშირდნენ იმათ, ბოლოს კი იმძლავრეს და დაიმონავეს ანუ ამოსწყვიტეს იგინი ქალდეაში, ასსირიაში, პალესტინაში და არაბისტანში" [4].

ევროპული ისტორიოგრაფიული აზრისა და წყაროთმცოდნეობითი მონაცემების გათვალისწინებით, აგრეთვე – ბიბლიურ გადმოცემათა შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე განსახლების უპირველეს არეალად უკვე წინა აზიას ასახელებს მ.ჯანანაშვილი, და, მართალის სიფრთხილით, მაგრამ მაინც ამ არეალში მოიაზრებს სამხრეთ კავკასიასაც („დროება", 1883, №2).

უშუალოდ ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისის განსაზღვრისას იმდროინდელი ქართული საისტორიო აზრი მიგრაციის თეორიას ადგა.

ამ საკითხს სიფრთხილით ეკიდებოდა დ.ბაქრაძე. იგი თვლიდა, რომ აუცილებელ მონაცემთა, კერძოდ, არქეოლოგიურ გამოკვლევათა, წერილობით, მით უფრო – დოკუმენტურ წყაროთა საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ძნელია კონკრეტული დასკვნების გამოტანა. „ისტორიის წინა-დროთა არქეოლოგია ჩვენ რომ გამოკვლეული გვქონდეს – შენიშნავდა მკვლევარი – შეიძლებოდა იმათ ყოფა-ცხოვრებას, დამოკიდებულებას ერთისა მეორესთან და უცხო ტომ-ნათესავებთან შევხებიყავით, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან ნაკლულად ვართ" [5].

და მაინც, უცხოელ ორიენტალისტთა (ძირითადად ლენორმანის) შრომებზე დაყრდნობით, აგრეთვე არსებულ ნივთიერ მონაცემთა საფუძველზე დ.ბაქრაძე ცდილობს მოგვცეს ამ ურთულესი საკითხის სათანადო მეცნიერული გააზრება. ქართველი ხალხის გენეზისს იგი მიგრაციის თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე იკვლევს – თვლის, რომ მისი ჩამოყალიბება კავკასიაში არ მომხდარა, რომ მისი ეთნოტიპის ფორმირებაზე განსახლების თავდაპირველ არეალშივე – ზემო და შუა აზიაში ძლიერ ზეგავლენას ახდენდნენ სემიტური, ქამიტური და ინდოევროპული წარმომავლობის ტომები [4].

მომდევნო ეტაპზე, დ.ბაქრაძის აზრით, ქართველი ტომები უკვე ფორმირებული ეთნიკურ-კულტურული სახით მცირე აზიაში სახლდებიან. მათ რიგს აკუთვნებს ისტორიკოსი თუბალებს, მუშქებს, ტიბარენებს, ხალიბებს, ტაოსებს და სხვა ტომებს [3]. საბოლოო ჯამში კი ქართული ხაისტორიო გადმოცემების, უწინარესად – „ქართლის ცხოვრების" მონაცემთა საფუძველზე ისტორიკოსი შემდეგ დასკვნას აკეთებს: „იმ ძველ დროდამ, რომელზედაც ჭ-ცხბას შერჩენია თავის მეხსიერებაში ცნობა, საქართველოდ იგულისხმება ის კავკაზის-აქეთა სივრცე, რომელიც უწინ შეიცავდა ნაწილს ალბანიხას, იბერიას, კოლხიდას, მესხეთს და სტრაბონის ტოქსუას ანუ ტაოს-კარს. ეს სივრცე იყო მთელი ბასსეინი მტკვრისა, ღელე-მინდვრებით, ჩრდილოეთ არაგვისა, სამხრეთით ხრამისა ანუ ქციისა, ჩრდილო-დასავლეთით ბასსეინები: რიონისა იმის შტოებით, ინგურისა და კოდორისა ვიდრე გაგრამდე. ამ სივრცეზე ყოფილა გავრცელებული თვით ქართველი ნათესავი ენები, რომელთაც ძველადვე შეადგენდნენ: ახლანდელი ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური" [5]. აქ ბაქრაძე განსახლების მესამე საფეხურზე საუბრობს, როდესაც მცირე აზიაში დამკვიდრებული ქართველი გვარ-ტომობა თანდათანობით ჩრდილოეთით ინაცვლებს.

ქართველი ხალხის წარმომავლობისა და განსახლების საკითხის გარკვევას საგანგებო შრომა მიუძღვნა ა.ხახანაშვილმა – „მცირე აზიაში ქართველთა განსახლების უძველესი საზღვრები" (1900). ავტორი შეეცადა ძველაღმოსავლური და ანტიკური ცნობების ლინგვისტურ და არქეოლოგიურ მონაცემებთან შეჯერების გზით მოეცა წინა აზიაში (პონტო-კაპადოკია-ურარტუ) ქართველი ტომების განსახლების საზღვრების მონახაზი.

ხოლო კავკასიაში ქართული გვარ-ტომობა ა.ხახანაშვილის აზრით უნდა დამკვიდრებულიყო დაახლოებით VII საუკუნეში ქრისტეს შობამდე. „ასურელ და სომეხ ტომთაგან გამოძევებული უწინდელი მათი გავრცელების საზღვრებიდან VII საუკუნიდან ჩვენს ერამდე უკუიქცნენ ჩრდილოეთისაკენ ცალკეულ გჯუფებად და გვარებად". საკითხის ანალოგიურ გადაწყვეტას იძლევა მ.ჯანანაშვილიც.

ი.ჭავჭავაძე ისტორიამდელი წარსულის შესასწავლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენას, კერძოდ, საარსებო გარემოს სპეციფიკით განპირობებულ სიტყვებსა და გამოთქმებს. იგი სწორად თვლიდა, რომ ერის მეტყველებაში თავისებურად აისახება ქვეყნის წარსული, ხალხის თავგადასავალი. ქართულ ენაში საამისო მაგალითს ილია სიტყვა *წყალთან* დაკავშირებულ ფორმებში (წყალობა, მოწყალება, შეწყალება, საწყალი,

უმოწყალო და სხვ.) ხედავს, რაც აფიქრებინებს მას, რომ ჩვენს შორულ წინაპრებს უფრო სამხრეთით, ცხელ და უწყალო მხარეში უცხოვრიათ [10].

ი.ჭავჭავაძე ასეთ დასკვნას არა მარტო ენობრივ მასალაზე დაკვირვებით აკეთებდა, არამედ მისი დროის ისტორიკოსებზე დაყრდნობითაც: „მას აქეთ, რაც ლურსმულმა წერილებმა თავისი გული გადაუშალა მეცნიერებს წასაკითხად, რაულინსონის, ტალბოტის, პინსკის და ოპერტის წყალობითა, მას აქეთ, რაც ლენორმანმა და ამ ბოლო ხანებში სულ ოთხი წელიწადიც არ არის – სეისმა ვანთან ნაპოვნი ლურსმული წერილები გამოარკვიეს, – ეჭვი აღარავისა აქვს, რომ ქართველთა უძველესი დედა-ბინა, სხვათა შორის, არმენიაც ყოფილა, ე.ი. ვანის ტბისა და არარატის ადგილები არზრუმითურთ. . . " [10].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ი.ჭავჭავაძის ვარაუდი ქართველების „არმენიიდან" გადმოსახლების შესახებ უფრო ახლოს დგას სიმართლესთან, ვიდრე მისი დროის ისტორიოგრაფიული აზრი, რომელიც ხშირად ქართველთა უძველესი განსახლების კერად ბევრად უფრო შორეულ ადგილებსაც ასახელებდა. მაგ: ს.ვიროხოვი თვლიდა, რომ ძვ.წ. XI-X საუკუნეებში კავკასიაში ბრინჯაოდან რკინის კულტურაზე გარდამავალი ეტაპი უეცრად წარმოშვეს შუა აზიიდან შემოჭრილმა ტომებმა. ე.შანტრეს თვალსაზრისით, კავკასიაში მესოპოტამიიდან უნდა მომხდარიყო ტომთა დიდი ნაკადის შემოჭრა, ხოლო ჟ.დე-მორგანი კავკასიაში ბრინჯაოს კულტურის ჩინეთიდან შემოსვლის ვარაუდს გამოთქვამდა, ან ქართველ მოსახლეობას ინდოევროპულ წარმომავლობას უძებნიდა.

მეორეს მხრივ, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ილია ენის ლექსიკურ მარაგშიც ეძებდა უძველესი წარსულის გარკვეულ კვალს.

ილიას თვალსაზრისთან ახლოს დგას ი.გოგებაშვილის პოზიცია, რომელსაც ქართველ ტომთა თავდაპირველი სახლობის არეალი კავკასიის სამხრეთ ნაწილებში (უფრო – სამხრეთ-დასავლეთით – შავზღვისპირა რეგიონში) ეგულებოდა [7].

თანამედროვე საქართველოს სამხრეთით მდებარე რეგიონებიდან უცხო ხალხთა მოძალების შედეგად ქართველ ტომთა თანდათანობით გადმოსახლების აზრს იზიარებდა გ.წერეთელიც [9].

არსებითად იგივეა ზ.გულისაშვილისა და პ.მირიანაშვილის მიერ „ივერიის" (1901, №№137-222) ფურცლებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო წერილების აზრი. კერძოობითი მნიშვნელობის დებულებებიდან კი ჩვენი ყურადღება მიიქცია პ.მირიანაშვილის მსჯელობის იმ ნაწილმა, სადაც იგი ივ.ჯავახიშვილის მსგავსად, ტერმინ „ქართუს" „ქალდიდან" – აქალდეადან" წარმოებულად თვლის და შესაბამის მხარეს მიიჩნევს ქართველთა პირველ საცხოვრისად.

განსხვავებულია და ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ე.მირიანაშვილის წერილის „მცირე შენიშვნა მესხეთის შესახებ" („ივერია", 1900, №132) იდეა. აქ პირველად ვხვდებით ქართველი ხალხის ავტოხთონობის თეზისის აღიარებას. ავტორი სადავოდ არ ხდის და მთლიანად იზიარებს მოსაზრებას ქართველური ეთნოსის კავკასიაში თავიდანვე მკვიდრობის შესახებ: „მეცნიერთა აზრით, პირველი მემკვიდრე კავკასიისა ყოფილა ქართველთ მოდგმა, დაყოფილი სხვა-და-სხვა თემებად. უმთავრესი მათგანი: ხეთები, ნაირები, ალაროდიანები, მოსოხები (მესხები), თუბალები და სხვ. ამათ სჭერიათ ძველადვე მთელი სივრცე (კავკასიის ქედის სამხრეთით) კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, მცირე აზია და თვით ის ადგილ-მიდამოც, სადაც შემდეგში სომხებს დაუარსებიათ თავიანთი სამეფო".

ქართველ ტომთა ეთნოგენეზის საკითხით დაინტერესებული უცხოელი ისტორიკოსებიც (რ.ვიროხოვი, ე.შანტრე, ჟ.დე-მორგანი და სხვ.), ძირითადად მათი სამხრეთ ტერიტორიებიდან გადმოსახლებას უჭერდნენ მხარს.

მიგრაციული პროცესების გარკვეულ გამოძახილს ხედავდნენ მკვლევარები ძველ ქართუს საისტორიო მატიანეში – ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში" და „მოქცევაი ქართლისაიში" მოთხრობილ ამბებში. მაგალითად, ივ.ჯავახიშვილი მროველის თხზულებაზე საუბრისას მიუთითებს, რომ „ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ამ ნაშრომისა არის ის, რომ აქ დაცულია ცნობა ქართველთა სამხრეთიდან მოსვლისა".

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული ისტორიოგრაფია (მათ შორის ივ.ჯავახიშვილიც) ძირითადად ქართველი ხალხის სამხრეთიდან მოსულობის იდეას ავითარებდა, რასაც მაშინდელი მეცნიერული ცოდნის დონე და არქეოლოგიური მასალის სიმწირე განაპირობებდა.

თანამედროვე ისტორიოგრაფიული კონცეფციები ძირითადად ქართველი ხალხის ავტოხთონობის თვალსაზრისს ადგას, ხოლო განსახლების საერთო გეოგრაფიული არეალის კონტექსტში კულტურულ-ეთნიკური კერების თანდათანობით ჩრდილოეთით წანაცვლების თეზისით (ეს აზრი ყველაზე მკაფიოდ ს.ჯანაშიას მიერ არის განვრცობილი) არსებითად არ ირღვევა კავკასიაში ქართველი ხალხის უძველესი მკვიდრობის კონცეფცია.

ლიტერატურა

1. ბაგრატიონი თ. ისტორია დაწყებითგან ივერიისა. პეტ., 1848.
2. ბარათაშვილი ს. საქართველოს ისტორია, რვ. 1, ქუთ., 1895.
3. ბაქრაძე დ. საქართველოს ისტორიული მიმოხილვა. რვ. 1, თბილისი, 1870.
4. ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა (ისტორიის წინა დროებაზე. . .) თბილისი, 1881.
5. ბაქრაძე დ. ისტორია საქართველოსი. თბილისი, 1988.
6. ბროსე მ. საქართველოს ისტორია. 1900.
7. გოგებაშვილი ი. თხზულებანი. ტ.5, თბილისი, 1957.
8. ნადირაძე გ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ისტორიული აზროვნება (ს. ბარათაშვილი), თბილისი, 1988.
9. წერეთელი გ. ჩვენი ძველი გმირები. თბილისი, 1898.
10. ჭავჭავაძე ი. ნაწერების სრული კრებული. ტ.5, თბილისი, 1927.